

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი #11

ქ. თბილისი
13 დეკემბერი 2023წ.

ესწრებოდნენ:

თორნიკე მიგინეიშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.

გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი.

ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

- განიხილება ირმა ჯანჯღავას (პ/ნ 39001024459) წარმომადგენლის ადვოკატ ბესარიონ ბოჭორიშვილის მიერ „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების კომისიაში შემოტანილი საჩივარი #200231205-1ა

მოისმინეს:

თორნიკე მიგინეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2023 წლის 28 ოქტომბერს „ტელეკომპანია პირველის“ ეთერში გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“ გასულ სიუჟეტს.

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით.

მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი განსაზღვრავს ფაქტის ჯეროვანი სიზუსტისა და პასუხის უფლების მომწესრიგებელ საკითხებს.

მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა.“

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაუწყებელი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პასუხის უფლებაზე თუ „ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ან ფაქტის შესწორების ან უარყოფის ზომა, ფორმა

და შინაარსი სცდება საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის აუცილებელ ფარგლებს, ან ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა მასში მოყვანილი ფაქტის შესწორება ან უარყოფა.“

წინამდებარე ნორმათა მიზანს წარმოადგენს სიუჟეტის სავარაუდო ადრესატის ინტერესების დაცვა, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში მაუწყებლის თვითრეგულირების კომისიაში წარდგენილ საჩივარში უნდა უთითებდეს კონკრეტულ განცხადებებს/ფაქტებს, რომლებიც არაჯეროვანი სიზუსტით გავიდა მაუწყებლის ეთერში.

კომისია მიიჩნევს, რომ მომჩივანის ინტერესების დაცვისა და საკანონმდებლო ჩანაწერის გათვალისწინებით საჩივარში დასახელებული თითოეული ძირითადი მოთხოვნა უნდა იყოს დეტალურად განხილული და პასუხგაცემული.

მომჩივანის მიერ წარმოდგენილ საჩივარში ძირითადი მოთხოვნები ფორმულირებულია შემდეგნაირად:

- „ი.ჯანჯღავას მიმართ ცილიმწამებლური, არაობიექტური, ცალმხრივი, პროვოკაციული ინფორმაციის გამო მაუწყებელმა, TV პირველმა, საჯაროდ მოახდინოს ი.ჯანჯღავას მიმართ თ.დოლენჯაშვილის ჟურნალისტური გამოძიების კრიტიკული ინფორმაციის სრულად უარყოფა იმავე გადაცემაში და მაუწყებლობის კოდექსის მუხ.20(2.ვ)-ის შესაბამისად“

კომისია მიუთითებს, იმისათვის რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ შეაფასოს რამდენად დაირღვა ჯეროვანი სიზუსტის მუხლი და გავრცელდა სავარაუდოდ გამიზნული, ცალმხრივი, ცრუ ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა იყოს პატივისა და ღირსების შემლახავი. ამისათვის მომჩივანი კომისიას საჩივარში უნდა უთითებდეს კონკრეტულ განცხადებებზე, რომელიც მიაჩნია ცრუ ინფორმაციად ან/და პატივისა და ღირსების შემლახავად.

იმის გათვალისწინებით რომ საუბარია საგამოძიებო ჟურნალისტიკის სახის გადაცემაზე - „ნოდარ მეღამის შაბათი“. ის თავისი შინაარსიდან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ გადაცემაში შეიცავს განცხადებებს როგორც ფაქტის სახით და მის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ასევე ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ ვარაუდებსა და სამართლიან კომენტარს.

შესაბამისად, მომჩივანის მიერ მოთხოვნის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე კომისიისთვის ბუნდოვანია რომელი კონკრეტული განცხადებების უარყოფას ითხოვს მომჩივანი. შეუძლებელია ჟურნალისტებს დაევალოთ იმ მოსაზრებებისა თუ სამართლიანი კომენტარების უარყოფა, რომელიც არის აზრის სახით დაფიქსირებული. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი არის „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“.

- „მაუწყებელმა, TV პირველმა იმავე გადაცემაში და იმავდროულად დააფიქსიროს თავის პოზიცია რომ მაუწყებლობის კოდექსის მუხ.56(2)-ის შესაბამისად ჟურნალისტს არ უნდა გამოეჭვეყნებინა, ი.ჯანჯღავას მმის უწმაწური ლექსიკა, რის აუცილებლობასაც კონტექსტი არ ქმნის.

აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებითაც კომისია იზიარებს ზემოთ განვითარებულ მსჯელობას, რომ მოთხოვნის ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე შეუძლებელია განსაზღვრა განცხადებების რა ნაწილს გულისხმობს მომჩივანი. რას მიიჩნევს ის „უწმაწურ ლექსიკად“ და კონტექსტთან შეუსაბამოდ.

- „ი. ჯანჯღავას და მის წარმომადგენელს ჟურნალისტური გამოძიების გადაცემაში „ნოდარ მეღაძის შაბათი“ დავითმოს 15 წუთი დრო (იგივე რაიდებოვუს დრო თავისი პოზიციის გადმოსაცემად რა დროსაც მოიცავდა ი.ჯანჯღავას საწინააღმდეგოდ შექმნილი გასაჩივრებული სიუჟეტი“.

კომისია წინამდებარე მოთხოვნის არ დაკმაყოფილებისას ეყრდნობა მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მეოთხე ნაწილს და მიიჩნევს, რომ იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ მომჩივანს არ აქვს დასახელებული კონკრეტული სადავო განცხადებები და კომისიამ ვერ შეძლო ამ საკითხის დეტალური შეფასება. შესაბამისად დაუდგენელია პასუხის უფლების რეალიზაციისას აქვს თუ არა ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი, ზომა, ფორმა და შინაარსი განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომიერი ასშუალებითა და ფორმით იქნება განხორციელებული თუ არა. გარდა ამისა, განხორციელება თუ არა განცხადებებში გამოთქმული აზრისა და არა მასში მოყვანილი ფაქტის შესწორება ან უარყოფა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, თვითრეგულირების კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. შპს „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების კომისიაში შემოსული ირმა ჯანჯღავას (პ.ნ. 39001024459) წარმომადგენლის ადვოკატ ბესარიონ ბოჭორიშვილის საჩივარი #200231205-1ა არ დაკმაყოფილდეს.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარების მიზნით გაეგზავნოს საჩივრის ავტორს საჩივარში მითითებულ მისამართზე
3. კომისიის გადაწყვეტილება მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

თორნიკე მიგინეიშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე

